1931 წელს ოტო გენრის ვარაუდმა ნობელის პრემია მიიღო ნაშრომისათვის "კიბოს გამომწვევი მიზეზები და მისი პროფილაქტიკა". დისერტაციაში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული, თუ რა მიზეზები იწვევს კიბოს და როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ იგი.

მაინც რომელი საკვები მატებს მჟავანობას და რომელი ტუტეანობას? — აი, მათი მოკლე ჩამონათვალი:

მჟავანობას მატებს: — რაფინირებული შაქარი და ყველა სხვა პროდუქტი, რომელიც მისი დამატებით მიიღება; — ყველა სახის ხორცი; — რძე და რძის პროდუქტები; — ხორბლის თეთრი ფქვილი და ყველა სახის ფქვილიანი ნაწარმი; — რაფინირებული მარილი; — პურ-ფუნთუშული; — მარგარინი; — გაზიანი სასმელები; — კოფეინი; — ალკოჰოლი; — ნებისმიერი მოხარული საკვები, მათ შორის მოხარული ბოსტნეული; — პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ კონსერვანტებს, საღებავებს, არომატიზატორებს, ფერმენტებს; — ყველა სახის ნამალი.

მარტივი სიტყვებით რომ ვამოვცეთ, იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზმი ჟანგბადის დეფიციტს განიცდის, ის „ჟანგბად“ და მასში შედარებით სწრაფად ვრცელდება კიბოს უჯრედები. ვარაუდმა ალბონინა აგრეთვე, რომ კიბოს უჯრედები ანაერობული არიან და მათ არ შეუძლიათ გამრავლება ჟანგბადის გარეშე ანუ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზმში ტუტე გარემოა.

ტუტეანობას მატებს: — ყველა სახის უმი ბოსტნეული (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს მჟავე გემო აქვს, ისინი ორგანიზმში ტუტე რეაქციებს იწვევენ; — ხილი; — კაკალი, თხილი, ნუში, ყველა სხვა სახის თხილესეული; — მარცვლოვანი, მხოლოდ არა რაფინირებული; — თაფლი, რომელსაც ტუტეანობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს; — მცენარეული ქლოროფილი, განსაკუთრებით ეფექტურია ალოე; — წყალი, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ჟანგბადით გამდიდრებისათვის; — ფიზიკური ვარჯიშები, რომლებიც აგრეთვე ამარაგებენ ორგანიზმს ჟანგბადით.


მეცნიერი ამბობს, რომ საკვები, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ, ძირითადი განმსაზღვრელია ორგანიზმის pH დონისა და ხშირ შემთხვევაში სწორედ ისაა ამ მაჩვენებლის გამანობანსწორებელი.

ჩვენს ორგანიზმს სჭირდება, რომ მასში pH დონე მუდმივად იყოს 7, 345; თუ თქვენი pH დონე გაცილებით დაბალია, იცოდეთ, რომ ეს გამოწვეულია არასწორი კვებით.


გერმანელი მეცნიერი წერდა: „სიცოცხლისათვის ბრძოლა — ეს უპირველეს ყოვლისა, მჟავანობის წინააღმდეგ ბრძოლაა. სიბერე, ენერჯის უკმარისობა, ცუდი განწყობა, თავის ტკივილი, ალერგია, ეგზემა, გულის დაავადებები, ასთმა და ათეროსკლეროზი სხვა არაფერია, თუ არა ორგანიზმში დაგროვილი მჟავანობა“.

უჯრედების ნორმალური ფუნქციონირება შეიძლება დარღვეული იქნას არაბალანსირებადი pH დონით, რაც იწვევს მრავალი სახის დაავადების გაჩენას, როგორცაა ოსტეოპოროზი, კუჭის მომატებული მჟავანობა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, დიაბეტი და რა თქმა უნდა, კიბო. ეს მაჩვენებელი აჩქარებს აგრეთვე დაბერების პროცესს.


ავიღოთ ერთი ჩაის კოფი სოდა და ორი ჩაის კოფი ლიმონის წვენი ან ვაშლის ძმარი, ეს ორი ნივთიერება შევურიოთ ერთმანეთს და ამიზინებულ მასას კიდევ დავამატოთ ცოტაოდენი სოდა მანამ, სანამ ნარევი არ დაცხრება. ეს მასა ჩავასხათ ქიჩა წყალში და დავლიოთ. გააკეთეთ ეს დღეში ორჯერ და შედეგად არ დააყოვნებს — ორგანიზმში ტუტე გარემო და მიკრობიოტა და ინფექციებიან ბრძოლის უნარი გარანტირებული გექნებათ.




7/20/2016 kancelaria.cloud.gov.ge/nom/files/Server/CelFile?file\_id=799402443076809395&obj\_name=A&SessValue=c5Rpfat2eDel9WlCdy3te5KRxQZLfXia..



ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA990156352131516

№ 435 19 / ივლისი / 2016 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო (პირობიანი) აუქციონის გამოცხადების შესახებ

- გამოცხადდეს პირობიანი საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).
- დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.
- აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის „საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.
- ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

საფუძველი: „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება; ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის №4 დადგენილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 61-ე მუხლის მეხუთე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

## ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს პირობიან აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე:

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:**  
მაქსიმალური ფასის შემთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:  
ა) მიყვანილი ვალდებულება გააკეთოს სპორტულ-განათლებლებელი კომპლექსი.  
ბ) ექვსი თვის განმავლობაში გაილოს 50 000 ლარის ინვესტიცია.  
გ) 5 წლის განმავლობაში არ შეცვალოს პროფილი და დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა.

**2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრაციის წარუდგენს:**  
ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების სანყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;  
ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);  
გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563313.  
დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);  
ე) ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;  
ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამწარმოო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სანყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო საფასური, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის 4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2016 წლის 23 აგვისტოს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2016 წლის 25 ივლისიდან 23 აგვისტოს ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზაციო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი 599 855 993; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

ლოტის №	ქონების დასახელება და მისამართი	არასასოფლო მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	სანყის ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	1. სოფ. ახალსოფლის ყოფილი სავაჭრო ცენტრის I-ლი სართული	ნილობრივად	447	57.02.03.171.02.503	71520	14304	3576	50

## როგორ უნდა ვკვებოთ გონება

რა არის ტკუა, ზუსტად ვერ ვიცი არავინ იცის. სამაგიეროდ, დანამდვილებით იცინა, რომ ეს „რადაც“ თავის ტვინის უჯრედებში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების შედეგია.

მათთვის საჭიროა ნივთიერებათა მთელი მასა — ენერჯის საკმარისი რაოდენობიდან და ფუნგციონირების დაწყებული, ქრომის უმნიშვნელო რაოდენობით დამთავრებული.

აღამიანს საკვების გარეშე ერთ თვეზე მეტი შეუძლია გაძლოს. გონებას კი, სრული დატვირთვით რომ იმუშაოს, მუდმივი კვება სჭირდება. ნინალმდეგ შემთხვევაში, ტვინის უჯრედები სათანადოდ ვეღარ მოგემსახურებიან. თუ გონებრივი სამუშაო გაქვს, თავის დროზე ჭამა არ დაგაგინდეს.

**პრაქტიკული რჩევები**  
დღეში არანაკლებ ოთხჯერ, უმჯობესია, ექვსჯერ ჭამო.

თუ მანქანას ატარებ, აუცილებლად ისაუზმე. შიმშილის გრძობაზე შეიძლება ყურადღების მოდუნება და აგრეთვე, უეცარი თავბრუსხვევა გამოიწვიოს.

ეცადე, არ დაარღვიო საკვების მიღების ჩვეული დრო და მიმშლით თავი არ გაიწვავო. ტვინის არაადეკვატური მუშაობის შედეგების გამოსწორება ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე მათი თავიდან აცილება.


ჩანთაში ყოველთვის იქონიე ვაშლი ან ორცხობილა, რომ საცობში მოხვედრისას ნახებო.

რა ვჭამოთ?  
აღამიანის ენერჯის წყაროდ, პრაქტიკულად, ნებისმიერი ორგანული საკვები გამოდგება. თუმცა ტვინის უჯრედები უპირატესობას ანიჭებს გლუკოზას, რომლის ძირითადი წყარო ნახშირწყლებია.

ამის გამო ქათმის მკერდის თეთრმა ხორცმა შეიძლება შენი ტვინი საერთოდ მშვიდი დატოვოს. რა თქმა უნდა, ორგანიზმი ბარბაროსი არ არის, მაქარა კუჭით ტვინის უჯრედები შიმშილით რომ დატანჯოს.

აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია აამოქმედოს ბიოქიმიური რეაქციები, რომლებიც ქათმის ხორცსა და გემრიელ ცხიმს გლუკოზის საკმარის რაოდენობად გარდაქმნის.

ტვინის მაქსიმალური მუშაობისათვის ნახშირწყლებით იკვებე.



ჟურნალი „რეიტინგი“



# როგორ გამოვიცნოთ ფალსიფიცირებული თაფლი?

თაფლზე, როგორც ძვირფას პროდუქტზე მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება. ამით სარგებლობენ არა კეთილსინდისიერი მეფუტკრეები და სხვა ფალსიფიკატორები და მიმართავენ ხელოვნურად გაზარდონ თაფლის რაოდენობა მაქრის სიროფებით ფუტკრის ოჯახების გამოკვებით, ან უშუალოდ თაფლში შერევით. ეს პირები ნატურალური თაფლის ნაცველად მომხმარებელს სთავაზობენ სწორედ თაფლ-სიროფის ნაზავს. ზოგიერთი ფალსიფიკატორი კი არ ერედება თაფლში ბადანის, სახამებლის, ასე განსაჯეთ ცარცის შერევასაც კი.

არსებობს ფალსიფიცირებული თაფ-

ლის გამოცნობის მრავალი მეთოდი. აი, ზოგიერთი მათგანი: ნამდვილი ანუ ნატურალური თაფლის დანის წვერით ამოღების დროს ჩამოედინება სწორი ნაკადით და არ წყდება, ამასთან ბოლო წვეთი უკან ზამზარასავით დანისაკენ ადის.

იმისათვის, რომ განვასხვავოთ ხელოვნური და სიროფიანი თაფლი ნატურალურისაგან, საჭიროა ხელის გულზე დაეწვეოთ ერთი წვეთი, თუ რამდენიმე წუთში ის გადნა და გაიშალა თაფლი ნატურალური.

თაფლის შემადგენლობაში ზედმეტი ტენის არსებობა შეიძლება დადგინდეს, თუ ქიმიურ ფანქარს თაფლში ჩავსვავს და

ქალღმერთ გავუსვამთ, ის ლურჯ ფერს გაავლავს.

თუ ქილაში ჩამაქრებული თაფლი ფენა-ფენად დაეწყო, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ფალსიფიცირებულია.

თუ თაფლი დიდი ხნის განმავლობაში არ ჩამაქრდა (გარდა აკაციისა და ნაბლისა) ის ფალსიფიცირებულია.

თაფლი არ უნდა აქაფდეს. თუ აქაფდა ეს იმას ნიშნავს, რომ ის დამუნიფიცებელია და ამჟავდება.

რაც უფრო მაღალხარისხიანი თაფლი, უფრო მაღელ კრისტალდება (მაქრდება). ხშირად იმისათვის, რომ თაფლი დიდხანს და თხელ მდგომარეობაში შეინახონ, მას აცხელებენ 60-70 გრადუსზე. მაგრამ ცნობილია, რომ 45 გრადუსზე გათბობისას თაფლი კარგავს სასარგებლო ნივთიერებების დიდ

ნაწილს. ამიტომ დასაფიცრებელია რა უმჯობესია უსარგებლო, თხევადი, თუ ნამდვილი, მაგრამ ჩამაქრებული პროდუქტი!

იმისათვის, რომ გავიყოთ თაფლში შერეულია თუ არა სახამებელი, მის ნიმუშს უნდა დაეფუტკროთ ოდის წვეთი, ის ლურჯად შეიფერება. ცარცის აღმოსაჩენად თაფლის ნიმუშს უნდა დამატოს რამდენიმე წვეთი ძმარი. ხსნარი აქაფდება.

ყველაზე მნიშვნელოვანია თაფლის ნონა. ერთი ლიტრი თაფლი უნდა იწონიდეს 1410 გრამს, ელემენტური 1420 და მეტს. თუ ვიცით ტარის მოცულობა, ყოველთვის შეგვიძლია დავადგინოთ თუ არ ხარისხის თაფლს ვიძენთ.



# გალფუჭებადი პროდუქტების შენახვის წესები

მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის ტემპერატურული რეჟიმები, დროის ხანგრძლივობა და რჩევები.

განსაკუთრებით მალფუჭებადი სურსათია: ხორცის, რძის, თევზის, კულინარული (სალათები, ნახევარფაბრიკატები და სხვა) და საკონდიტრო ნაწარმი, ბოსტნეულისა და კვერცხის შემცველი პროდუქტები.

განსაკუთრებით მალფუჭებადი სურსათის შენახვის მაქსიმალური ვადაა 6-72 საათი (პროდუქტის სახეობების მიხედვით) არა უმეტეს 6 °C ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

უკრემო, ცილის კრემით ან ხილით განვიხილოთ ტორტებისა და ნამცხვრების შენახვის მაქსიმალური ვადაა 72 საათი. ნალღობის კრემით განვიხილოთ 36 სთ, ხოლო მოხარბული კრემით და ათქვეფილი ნალღობის კრემით განვიხილოთ 6 საათი.

ყველა მათგანი უნდა ინახებოდეს +2°C-დან +6°C-მდე ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

არაქარხნული ხორცის ფარშის შენახვის მაქსიმალური ვადაა 6 საათი +2°C-დან +6°C-მდე ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

სოსისი და სარდელი +2°C-დან +6°C-მდე ინახება არა უმეტეს 48 საათი; მოხარბული ძეხვი +2°C-დან +6°C-მდე ინახება 24 საათიდან 72 საათამდე (ხარისხის მიხედვით);

გაყინული ხორციანი პელმენი 48 საათამდე ინახება არა უმეტეს -5 °C ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

ხორცის შექმნისას დააკვირდით მის ფერს (უნდა იყოს ღია ვარდისფერი, ან ღია წითელი). ასევე, თუ ძვლის ტვინი არ ავსებს ლულოვანი ძვლების მთელ სანართურს, რბილია, იგლისება და აქვს რუხი ფერი;

ნუ შეიძინებთ მუქი ფერის ხორცს, რომლის ზედაპირი დაფარულია ლორწოვანი და ეკრის თითებზე, აქვს არადამახასიათებელი სუნი. ასევე, თუ ძვლის ტვინი არ ავსებს ლულოვანი ძვლების მთელ სანართურს, რბილია, იგლისება და აქვს რუხი ფერი;

ამღვრეულია, კუნთები არ არის მკვრივი და მუცელი გამომდილია; ნუ შეიძინებთ კუსტარულად დამზადებულ შებოლილ და დამარღვეულ თევზს.

## სურსათის შენახვისას გაითვალისწინეთ:

არ შეინახოთ შექმნილი მალფუჭებადი სურსათი უმაცივროდ ერთ საათზე მეტი ხანგრძლივობით; ერთდეთ გაღობილი სურსათის ხემორედ გაყინვას;

ნედლეული და მზა ნაწარმი შეინახეთ ერთმანეთისაგან განცალკევებით ან დახურულ ჭურჭელში, რადგან შესაძლებელია ბაქტერიები გადაიხადონ ერთი პროდუქტიდან მეორეში; დაიცავით სურსათი მდგრადი ტემპერატურის, მწერებისა და სხვა ცხოველებისაგან; ჩველი ბავშვის საკვები შენახვას არ ექვემდებარება;

არაქარხნული პამუტის შენახვის მაქსიმალური ვადაა 6 საათი +2°C-დან +6°C-მდე ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

პასტერიზებული რძე, ნალღობი, მანონი და ხაჭო +2°C-დან +6°C-მდე ინახება 36 საათი;

არაქარხნული +2°C-დან +6°C-მდე ინახება არა უმეტეს 72 საათი;

განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დარღვევა იწვევს ამ სურსათში არა მარტო ლაზობის, არამედ პირობით-პათოგენური და პათოგენური მიკროორგანიზმების სწრაფ გამრავლებას, რაც თავის მხრივ მიკრობული კვებითი მოწამლისა და მწვავე ნაწლავური დაავადებების აღმოცენების მიზეზი შეიძლება გახდეს;

განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის დამდგენილი ვადა აითვლება ტექნოლოგიური პროცესის დამთავრებიდან და მოიცავს დამამზადებელ საწარმოში დაყოფის, ტრანსპორტირებისა და სარეალიზაციო ან საზოგადოებრივი კვების ობიექტებში შენახვის დროს;

პროდუქტის დამამზადებელი საწარმო ვალდებულია მოახდინოს განსაკუთრებით მალფუჭებადი სურსათის თითოეული პარტიის ნიმუშება, კერძოდ,

იარლიყზე ან შესაფუთ ტარაზე მითითებული უნდა იყოს პროდუქტის შენახვის ტემპერატურა და ვადა;

დაუფასოებელი სურსათისათვის, დამამზადებელმა საწარმომ უნდა გაგზავნოს შესაბამისი ინფორმაციის შემცველი ეტიკეტები ამ პროდუქტების სარეალიზაციო წერტილებში, სადაც განთავსდება მომხმარებლისათვის თვალსაჩინო ადგილას.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური გირჩევთ სურსათის შექმნისას გახსოვდეთ:

ყურადღება მიაქციეთ მისი შენახვის პირობებს, კერძოდ, მაცივარში შენახვას; შეამოწმოთ სურსათის გამოშვების თარიღი და ვარგისიანობის ვადა, ასევე,

ყურადღება მიაქციეთ მწარმოებლის მიერ მითითებულ შენახვის პირობებს;

არ შეიძინოთ ისეთი სურსათი, რომლის ეტიკეტზე არ არის მითითებული დამზადებისა და რეალიზაციის ვადები; შეამოწმოთ რამდენად არის დაცული დისტრიბუტორის მიერ ეტიკეტზე მითითებული შენახვის პირობები;

უპირატესობა მიანიჭეთ სურსათს, რომელიც არის გადამამზადებული. მაგალითად, უმი რძის მაგივრად გამოიყენეთ პასტერიზებული რძე;

ნუ შეიძინებთ საოჯახო პირობებში დამზადებულ კონსერვებს;

ნუ შეიძინებთ კვერცხს, თუ ის ინახება არა უმეტეს +20 °C ზე მეტი ტემპერატურული რეჟიმის პირობებში;

ნუ შეიძინებთ ხორცს, თუ მას არა აქვს ექიმი ვეტერინარის შემოწმების ბეჭედი.

## კერძის მომზადებისას:

მაქსიმალურად დაიცავით სისუფთავე თქვენს სამზარეულოში; კერძის მომზადებისას ხშირად დაიბანეთ ხელი;

გულმოდგინეთ გარეცხეთ ჭურჭელი, სურსათის დასამუშავებელი დავები, დანები; კერძის მომზადებისას ან სურსათის გარეცხვისას გამოიყენეთ მხოლოდ სუფთა წყალი;

გაცივებული ხორცი მომზადების წინ გაალღვეთ ოთახის ტემპერატურაზე, თევზი კი ცივ გამდინარე წყალში; დაიმასხოვრეთ, რომ უმი სურსათის უმრავლესობა, მაგალითად, საქონლისა და ფრინველის ხორცი, არაპასტერიზებული რძე შესაძლებელია იყოს მიკროორგანიზმებით დაბინძურებული. ხოლო, კულინარული დამამზადებისას სურსათში მიკროორგანიზმები ილეუება;


# გამოსათხოვარი პასტანგ ქოროავილი

სულ რამდენიმე კვირაა, რაც დაგეტოვა და სამუდამო სასუფეველში დამიკვიდრა ადგილი ვახტანგ ქოროავილი.

იგი მოაკლდა არა მარტო ოჯახს, არამედ ბრიგადაში მომუშავე თითოეულ ადამიანს. ვანო სამხარაულის ვენახებს შეიღობილი უვლიდა ბატონი ვახტანგი. იგივე გრძობას გვიღობებდა ჩვენც. უყვარდა თქმა: „ვაზო, მვიღობი ნაზარდო“. იცოდა, რომ ვაზი არა მარტო ოჯახის სიძლიერეა, არამედ ქვეყნისაც.

ვახტანგ ქოროავილი არ იყო ჩვეულებრივი ბრიგადირი, რომელიც ბრიგადის წევრებს სამუშაოდ გვიხმობდა და შემდეგ ნაშრომის საფასურს დროულად გვაძლევდა. არა, იგი იყო დიდი ოჯახის მამა, რომელიც ყველაზე ზრუნავდა. ერთი თვალის შევლებითაც ხვდებოდა, ვის რა გვიჭირდა. თავიდანვე აღმოვფხვრა ბრიგადაში კინკლაობა, ურთიერთდაპირისპირება. მართალია თავად ატარებდა შვილიშვილის დაკარგვით გამოწვეულ უდიდეს ტკივილს, მაგრამ მაინც ახერხებდა მკურნალად მოვლინებოდა სხვას. მან მართლაც შეგვაკავშირა დიდ ოჯახად.

მიუხედავად იმისა, რომ გადააბიჯავა ათეულ წელს, შესაშური ენერჯით შრომობდა გვიხმობდა სამუშაოდ ნასვლა იმიტომ, რომ იქ გვევდებოდა კაცი, რომლისთვისაც შეგველოდა გავვეზიარებინა ჩვენი დარდი, ტკივილი. ნამალსაც უმალ პოულობდა, გვამხნელებდა და კვლავ აღვიძებდა ჩვენში ბრძოლისა და შრომის უნარს.



ვახტანგ ქოროავილის სსოფნა ყოველთვის იქნება ჩვენს გულში. დაე, მსუბუქი იყოს მისთვის ყვარლის მადლიანი მიწა.

ჩვენ კი სხვა რაღა დაგვჩენია გარდა იმისა, რომ ზოგჯერ მაინც დავუწინადილოთ ხორბალი მართალი სულის გადასარჩენად.

უფალმა ნათელში ამყოფოს და სასუფეველი დაუმკვიდროს ბატონ ვახტანგს.

ბრიგადის წევრები

# მაყვალა დავითაშვილის სსოფნას

დააღვასილს დღეს ბილოვას, დედა!

ცრემლი დამიძვლავდა, სევდა დამიბერდა, დარდმაც იცვალა ფერი, სიზმარი გამიბრბის, დრო არ ჩერდება — ისე უიმედოდ გელი.

გულში მოგონებებს გზები არევიდათ, კვლავაც მონატრება მოდის ფესკაყრფით, სულის კივილი ზეცას მისწვდენია ჩემო ტკბილო დედა, ისე მენატრები.

დრომ ვერ გაანულა ტკივილი და... გერც მონატრების უნამლა სევდას, მინდა კვლავ გულში უხმოდ ჩაგეკრა და არასდროს მოგმორდე, დედა.




ჩემს მონატრებას თალხი ჩაუცვამს და... ირგვლივ ბურუსა ბნელი, ასე უიმედოდ, მარტოდ დარჩენილი შენს თბილ დარიგებას ველი.

# გია ჩიკვაიძის გახსენება

გია, უკვე უსაზღვროდ ტკივილიანი ორი წელი გავიდა, შენ კაცურად განვლეთ ცხოვრების გზა. შენს სსოფნას დავინყება არ უნერია, შენს სახელზე ჩვენგან დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში და ღვთიური მადლი შეგინოდეს შენს მუდმივ სამყოფელს. ზეციური სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა შენს სულს. გავეროდეს, საუკუნოდ იქნებასხენება შენი. ჩვენ, — შენი საუკეთესო შვილები დაოთ და ელენე არასოდეს დაგიწყებთ.

ჩვენ უმეობა ძალიან გვიჭირს, საით ნახვედი, საით მოგეძებნოთ, ინამე გია, სულ შენთან ვართ, ჩვენ თაყვანს ვცემთ შენს ნათელ სახეს. სანამ ვიცოცხლებთ უშენოდ, გია, შენთვის ვილოცებთ, ავინთებთ სანთელს.



ვანო სამხარაულის ვენახების ბრიგადის წევრები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ვანო სამხარაულს და განსვენებულის ოჯახს პასტანგ ქოროავილის გარდაცვალების გამო

# რატომ უნდა დავწვათ დაფნის ფოთოლი სახლში, ის აუსცილებლად უნდა იცოდეთ

დაფნის ფოთოლი ძალიან სასარგებლოა და ხშირად მას სამკურნალოდ იყენებენ, ასევე არაჩვეულებრივია ის კერძები მაგრამ არაინც იცის რომ თუ სახლში დაფნის ფოთოლს დანავთ ის ბევრ დაავადებას შევლის, ასევე შევლის დაღვინილობას დამალდ ნწევას, ის გამოიყენება ასევე ებოლფსის ნინაღმდეგაც და საუკეთესო ანტიდებერსანტია. დამწვარი დაფნა ასევე დაგვმარბათ სახლში, მწერების ნინაღმდეგ ის შეუცვლელია, დამწვარი დაფნის მთავრ სუნზე მწერები ადვილად ილეუებიან. იყავით ჯანმრთელები.



# სპორტულ ასპარეზობებზე საერთაშორისო ტურნირი პრივი

ყვარლის სპორტსკოლის აღსაზრდელები ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ქალაქებსა თუ რაიონებში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში.

მიმდინარე წლის 26-29 ივნისს, ქ. ბათუმში ჩატარდა თენგიზ ჯაფარიძის და სპარტაკ ასანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კრივი, სადაც მონაწილეობას იღებდა ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლის აღსაზრდელო, ახალსოფლის საჯარო სკოლის მოსწავლე, 17 წლის გიორგი ლაფერაშვილი. 49 კგ. წონით კატეგორიაში მან წინასწარ შეხვედრებში ყველა მეტოქე დაამარცხა და ფინალში დაუპირისპირდა მასპინძელი გუნდის — საქართველოს ჩემპიონს გიორგი მოდებაძეს. ტურნირის ფინალური შეხვედრა მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, სულ მცირე უპირატესობით, გამარჯვება მიაკუთვნეს მასპინძელი გუნდის წევრს.



წილობრივ მიიღებენ თურქეთის, რუსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვა რესპუბლიკების მორივეები. ჩვენი პატარა მოკრივე იმდენ იტოვებს, რომ ეს ტურნირი, წინა ტურნირთან შედარებით მისთვის წარმატებული იქნება. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. (მწვრთნელები ფარნაოზ მაისურაძე და ზურაბ ტოსტიაშვილი).

დალი ტატულიშვილი

# რესპუბლიკური ტურნირის ჩემპიონები



8-10 ივლისს ქ. ბათუმში ჩატარდა გიგა ფარტენაძის ღია რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ამჯერად ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩეჩენ-ინგუშეთის და საქართველოს ყველა რაიონის უძლიერესი მოჭიდავეები. შეჯიბრი ჩატარდა ასაკობრივ ჯგუფებს შორის — 1999-2001 და 2002-2005 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის. ჩვენი რაიონის მოჭიდავეებიდან ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ყვარელმა დათი ქაქალაშვილმა — 42 კგ. წონით კატეგორია, შილდეგმა — 54 კგ. წონით კატეგორია და ნიკოლოზ ბუმელაშვილმა — 63 კგ. წონით კატეგორია. წარმატებული გამოდგა ეს ტურნირი ასევე შილდეგ ნიკოლოზ ტურაშვილისთვის — 58 კგ. წონით კატეგორია, რომელმაც მოიპოვა ვერცხლის მედალი.

ბრინჯაოს მედალებს დასჯერდნენ

შილდელი თორნიკე ასაბაშვილი — 54 კგ. წონით კატეგორია, ყვარელელები გიორგი დოლმაზაშვილი — 63 კგ. წონით კატეგორია და ბესო სეფაშვილი — 47 კგ. წონით კატეგორია. ტურნირში მესამე ადგილები გაიწიანდეს თიფლმა ძებმა — ფათა მაგამედოვა — 29 კგ. წონით კატეგორია და მალა მაგამედოვა — 54 კგ. წონით კატეგორია.

მწვრთნელები: გივი მეტრეველი, მალხაზ როზომამაშვილი, და ვანო ჭანტურიძე კმაყოფილი არიან მიღწეული შედეგებით და თავიანთ ალზრდილებსაც ულოცავენ დიდ წარმატებებს. უნდა ითქვას, რომ ამ წლის სპორტული სეზონი თავისუფალ ჭიდაობაში სექტემბრამდე დასრულებულია. ჩვენი სპორტსმენები ასაფხულო არდადეგებს კარგად მოირგებენ და დაიწყებენ, შემდგომ კი უფრო დიდი შემართებით კვლავ გამოვლენ სპორტულ ასპარეზობებზე.

დალი ტატულიშვილი

# მსოფლიოს 10 საუკეთესო საზაფხულო კურორტი

## პაპაის კუნძულები

ჰავაი აშშ-ის შტატია წყნარ ოკეანეში. ადრე ცნობილი იყო სენდვიჩის კუნძულების სახელით. სულ 32 კუნძულია, მათგან 6 მოზრდილი — ჰავაის დიდი კუნძული, ოაჰუ, მაუი, მოლოკაი, კაუაი და ლანი. მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ყველაზე გასასოცარი კომფორტი და რბილი კლიმატია — ზაფხულში +21, ზამთარში კი +27 გრადუსი. კუნძულებზე თეთრი პლაჟები, პალმები, ლაგუნები, ტროპიკულ ტყეებში შემალული ჩანჩქერები, ნებისმიერი სურფერისთვის საოცნებო ტალღები და რაც მთავარია, საუკეთესო ხარისხის მომსახურებაა. ეფექტს აძლიერებს ეგზოტიკური ყვავილები — განსაკუთრებით ორქიდეები, ულამაზესი ფრინველები და უმდიდრესი წყალქვეშა სამყარო.

## კანარის კუნძულები

კანარეთის ერთ-ერთი ავტონომიური გაერთიანებაა აფრიკის დასავლეთ სანაპიროსთან, მოიცავს 7 კუნძულს: ტენერიფე, ლას-პალმასი, გომერა, იერო, გრან-კანარია, ფუერტევენტურა, ლანსაროტი. ულანი ტყეები, ეგზოტიკური ფაუნა და ფლორა, უდაბნოები, მთები, ვულკანები და თოვლიც კი, დაუჯერებლად ლამაზი სანაპირო ზოლი — ამ ყველაფერს სწორედ კანარის კუნძულებზე, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და პოპულარულ კურორტზე ნახავთ. აქ შესანიშნავი ტურისტული ინფრასტრუქტურა და მაღალი დონის მომსახურებაა. ეს ბუნებრივია, რადგან მრავალი წელია, კანარის კუნძულებს ყველაზე ბევრი 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო ემსახურება.

## საიპელის კუნძულები

საიპელის კუნძულები სახელმწიფო ინდოეთის ოკეანის დასავლეთ ნაწილში, ეკვატორიდან ცოტა სამხრეთით, აფრიკის სანაპიროდან კი დაშორებულია 1 600 კილომეტრით. საიპელის კუნძულები ტროპიკული მცენარეების სამშობლოა და სამართლიანად ითვლება ინდოეთის ოკეანის ულამაზეს ადგილად. ეს გრანიტისა და მარმარილოსგან შედგება. 115 კუნძული სინამდვილეში გაქრალი კონტინენტის — ლეპტორის გადარჩენილი ნაშთია. უნიკალური ბუნება და ზღვა მთელი მსოფლიოდან იზიდავს ტურისტებს. ზღაპრული პლაჟებისა და შესანიშნავი წყალქვეშა სამყაროს გარდა, ტურისტები ერთობიან თევზაობით, სერფინგით...

## იზიკა

ეს ხმელთაშუა ზღვის კუნძული ესპანეთის შემადგენლობაში შემავალი ბალეარის არქიპელაგის ნაწილია, რომელიც კონტინენტური ესპანეთიდან 90 კმ-ით არის



დაშორებული. მისი სახელწოდება დაკავშირებულია ეროტიკისა და გართობის ეგვიპტურ ლეზბეასთან. ის მეტად პოპულარულია თავისუფლებისა და ხმაურიანი დასვენების მოყვარულებში. განსაკუთრებით ცნობილია მრავალრიცხოვანი კლუბებით და წარმოადგენს საკულტო ადგილს ელექტრონული მუსიკის მოყვარულთათვის.

## მაი

ქვეყნის მთავარი კურორტია და სრულიად განსხვავდება დანარჩენი ინდოეთისგან. ყოფილი პორტუგალიის კოლონია 1987 წლიდან ცალკე შტატია, ის ყველაზე პატარაა, თუმცა მისი სანაპირო ზოლი 110 კმ-ია. ყველაზე პრესტიჟული სასტუმროები და პანსიონები შტატის სამხრეთ ნაწილშია განლაგებული. აქ დასვენება საკმაოდ ძვირია და მხოლოდ უზრუნველყოფილი ვერობლებისა და მდიდარი ინდოელებისთვის არის ხელმისაწვდომი. სრულიად განსხვავებულია ჩრდილოეთ გოა, რომელიც შედარებით იაფია

## ბალი

ინდონეზიის პოპულარული და ტურისტულად ყველაზე განვითარებული კურორტია. წარმოადგენს მცირე ზონის კუნძულებში შემავალი მალაის არქიპელაგის კუნძულს. დამსვენებლებს იზიდავს აქაური პირველყოფილი ლანდშაფტი, ტროპიკული ტყეები, საკმაოდ დიდი ვულკანები (კინტამინი, გუნუნგ-ბატური, გუნუნგ-აგუნგი). მოუხედავად იმისა, რომ კუნძული არ არის დიდი, აქაური ლანდშაფტი მეტად მრავალფეროვანია. მხოლოდ აქ ნახავთ პალმების კორომებს, ვულკანური წარმოშობის შესანიშნავ ტბებს და შავი ლავის პლაჟებს. ვულკანები კი მოქმედი, რაც ბალზე დასვენებას დაუფინყარს ხდის.

## ფუკუკიტი

ფუკუკიტი ტაილანდის ერთ-ერთი ყველაზე რესპუბლიკურად, პირველხარისხიანი კურორტია, რომელიც „წყნარი“ დასვენების მოყვარულებზეა გათვლილი. ის ტაილანდის სამხრეთში მდებარეობს და ქვეყნის ყველაზე დიდი კუნძულია ანდამანის ზღვაში. კუნძულზე დასავლელი ტურისტებისთვის სრულიად უცხო და თავისებური ტაილანდური კულტურის უამრავი საინტერესო ღირსშესანიშნავია. ფუკუკიტი სრულიად ალაღვინებს მას შემდეგ, რაც 2004 წელს სამხრეთ კუნძულს დაატყდა თავს. დღეს მას კვლავ უამრავი დამსვენებელი სტუმრობს.

## მალდივის კუნძულები

მალდივის კუნძულები, რომლებიც მარგალიტებისთვისაა გაბნეული ინდოეთის ოკეანეში, სამხრეთ აზიის ქვეყნის — მალდივის რესპუბლიკის ტერიტორიაა. ეს ნამდვილი ტროპიკული სამოთხეა, მუდმივი ზაფხულისა და უზრუნველი ცხოვრების მხარე. ტემპერატურა არასდროს ეშვება +17 გრადუსზე დაბლა და არ ადის +32 გრადუსზე მაღლა. პალმებით დაფარული კუნძულები გარემომრტყეულია თოვლივით თეთრი პლაჟებით, კრისტალური სუფთა წყლებით, ულამაზესი ლაგუნებით. 20 ატოლისგან შემდგარ ჯაჭვში 1192 მომცრო მარჯვის კუნძულია, რომლებიც პრაქტიკულად ზღვის დონეზეა — ქვეყნის ყველაზე მაღალი ნერტილი 2,4 მ სიმაღლეზეა. შესანიშნავი მარჯვის რიფები სავსეა ეგზოტიკური ბინადრებით — წყალქვეშ საოცარი სამყარო იმდებ.

## პატაია

რეიტინგში ტაილანდის მეორე კურორტიც მოხვდა — ეს ქალაქი ტაილანდის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სიამის ყურეს სანაპიროზე მდებარეობს. საკურორტო ქალაქში პლაჟებს მთელი სანაპირო უჭირავს, თუმცა აქ წყალი მუდამ შემღვრებულია. სამაგვიროდ, პატაიაში უამრავი ფემინური სასტუმრო კომპლექსია. კურორტმა უფრო ღამის ცხოვრებით გაითქვა სახელი — მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ჩამოსულ ტურისტებს ღამით პატაიაში ნებისმიერი სახის ეროტიკულ მომსახურებას სთავაზობენ.

## ბორა-ბორა

საფრანგეთის პოლინეზიის (რომლის ცენტრიც ტაიტია) კუნძული ბორა-ბორა მდებარეობს გასაოცარი სილამაზის ლანდშაფტში, რომელიც შემოსაზღვრულია მარჯვის რიფებითა და პატარა კუნძულებით (ე.წ. მოტუ). ამ კუნძულს სახელი გაუთქვა შესანიშნავმა კურორტებმა, სადაც ქოხები პოლინეზიური სოფლებს გვაკონებს. ბორა-ბორაზე ადგილობრივია ჩვეულებების გასაგებად, საუკეთესო საუალებია პიკნიკი წასვლა რომელიმე მოტუზე, სადაც ტაიტელები გასწავლიან კერძის მომზადებას, ძველი წესით ქოქოსის კაკლის გატყევის ბორა-ბორაზე გართობებში შედის ზვიგენების გამოკვება, დაფინგი, თევზაობა, ტროპიკული ტყით დაფარულ ვერობებზე ჯიპით სეირნობა.

# შოკოლადის საერთაშორისო დღე

11 ივლისს, ტკბილეულის მოყვარულები აღნიშნავენ შოკოლადის საერთაშორისო დღეს. ეს დღე პირველად საფრანგეთში აღნიშნეს 1995 წელს. პირველად სავარაუდოდ აცტეკებმა დაიწყეს შოკოლადის დამზადება. ისინი მას „ღმერთების საზნაღს“ უწოდებდნენ. ესპანელმა კონკისტადორებმა ეს „შავი ოქრო“ ევროპაში წაიღეს და მას იყენებდნენ რათა უზრუნველყოფილი ფიზიკური ძალა და გამძლეობა.

ცოტა მოგვიანებით შოკოლადის მოხარება შესულად იქნა და ის მხოლოდ არისტოკრატთა წრისთვის ხელმისაწვდომი ფუფუნება იყო, მე-20 საუკუნიდან კი ის უკვე ყველას ანიჭებს უდიდეს სიამოვნებას. თანამედროვე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ შოკოლადში შემავალი ელემენტები ხელს უწყობს დასვენებას და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას. მას შესწევს ძალა გააუმჯობესოს გუნება-განწყობილება.

არსებობს ჰიპოთეზა, რომ შოკოლადს შეუძლია შეაწილოს დაბერება.

ცნობილია, რომ შოკოლადი შეიცავს ნუტრიენტებს, მათ შორის ცხიმებს, ამიტომ ის ძალიან კალორიულია, მაგრამ დიეტაზე მყოფებო სუ შემინდობი, თქვენთვის შესა

ვი შოკოლადი არსებობს, ბავშვებისთვის კი რეკომენდებულია თეთრი შოკოლადი, რომელიც დიდი რაოდენობით რძეს შეიცავს.

შოკოლადის შესახებ ბევრი საინტერესო ფაქტი არსებობს: შოკოლადის გამოყენება დაახლოებით 2 500 წლის წინ დაიწყო, ცენტრალურ ამერიკაში.

სიტყვა „Cacao“ მაიურ ენაზე ნიშნავს „ღმერთების საკვებს“.

შოკოლადის მოთხოვნილებას სხვა ტკბილეული ვერ დააკმაყოფილებს, გარდა თავად შოკოლადისა.

7 მილიარდზე მეტი შოკოლადის ფილა იქმნება ყოველწლიურად. მსოფლიოში წარმოებული შოკოლადის ნახევარი ამერიკაში მოიხმარება.

შოკოლადი ცნობილი ანტიდეპრესანტია და ასევე ტინის მუშაობასაც უწყობს ხელს, ხელს უშლის გულის დაავადებების და კიბოს წარმოქმნას.

ყოველი წლის 14 თებერვალს იაპონელი გოგონები შეყვარებულ ბიჭებს ჩუქნიან შოკოლადის გულს, ერთი თვის მერე კი მამაკაცები ჩუქნიან გოგონებს „Howaito“-ს ანუ თეთრი დღის დღესასწაულზე.



პირველი კაკაოს ხე ნაპოვნია ამაზონის მდინარის ნაპირზე.

შოკოლადი არის ენერჯის წყარო, ერთი შოკოლადის ფილა შეუძლია ზრდასრულ ადამიანს 150 მკაღის ენერჯის ენერჯის მიცემა.

ადამიანები 7 მილიარდ დოლარს ხარჯავენ შოკოლადის შესაქმნად ყოველწლიურად.

ერთი უნცია შოკოლადი ან კაკაო შეიცავს რკინის 10% დღიურ ნორმას.

მუქი შოკოლადი ყველაზე მაღალი ხარისხის კაკაოს შეიცავს.

ერთი ფუნტი რძიანი შოკოლადი შეიცავს: 2300 კალორიას, 140 გრამ ცხიმს, 370 გრამ ნატრიუმს, 270 გრამ ნახშირწყლებს, 100 მილიგრამ ქოლესტერინს, 31 გრამ პროტეინს.

შავი შოკოლადი ყველაზე პოპულარული მამაკაცებშია.

შოკოლადი არ იწვევს აკნეს, ეს მითია.

# ეს ყველა მშობელმა უნდა იცოდეს

ტკბილეულის მწარმოებლები უზარმაზარ თანხებს იხდიან ტელევიზიაში, ინტერნეტსა და გაზეთებში რეკლამის განსათავსებლად. ისინი ამზადებენ სათამაშოებსა და ტანსაცმელს თავიანთი ბრენდის ლოგოტიპებით, იღვნიან ფილმებსა და ვიდეოთამაშებში მათი პროდუქციის გამოჩენისთვის.

ბავშვებზე ორიენტირებული მარკეტინგი საუკეთესოდ მუშაობს, მაგრამ მწარმოებლებს ბავშვების ჯანმრთელობა ნაკლებად ადარდებთ. ექსპერტების მტკიცებით, სწორედ ეს სასუსნავეები იწვევს ბავშვების პიზერაქტიურობას, ალერგიულ რეაქციებს და სიმსივნესაც კი.

დამიხსოვრეთ, მხოლოდ აშშ-ში მწარმოებლებს დაახლოებით 25 მილიარდ დოლარს ხარჯავენ საკვების სინთეტიკურ საღებავებზე! ამ საღებავების შემცველი პროდუქტების სია უსასრულოა.

ჩვენ გთავაზობთ ყველაზე საშიში პროდუქტების სიაზე.



## შეფუთული ნამცხვარი

— მსგავსი პროდუქტი დიდი ოდენობით შეჭარს, სიმინდის სიროფს, დექსტროზებსა და TBHQ-ს. ქიმიკატებს შეიცავს, რომელსაც ნავთობისგან გამოიზამებავენ და ბავშვების ორგანიზმის უფრედილს დასაფრეციას იწვევს.

## სილის ქალაქნები

— „ხილს“ გემოს ამ პროდუქტს ერთი რაოდენობის სქესს, რომელიც ასევე ნავთობისგან მიიღება. ერთ დროს მისი გამოყენება კოსმეტიკაში აკრძალეს, რადგან დამტკიცებულია, რომ იგი იწვევს ფარსტები ჯირკვლის კიბოს.

M&M'S — ეს პოპულარული კანფეტი შოკოლადის სულ ცოტა რაოდენობით შეიცავს, დანარჩენი — ქიმიკატებია, რომლებიც კიბოს იწვევს.

Cheetos — ხელოვნური საღებავი პროფესიონალური სახელწოდებით ელლონ 6, რომელიც ამ პროდუქტში გამოყენება, ასევე ნავთობისგან მიიღება. ასევე, ეს ჩიფსები მეთილენბლუანტს შეიცავს.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად ავტებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი  
ალექსანდრა გიგილოშვილი  
მონადგელი  
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი  
ია გიგიაშვილი  
კორესპონდენტი  
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:  
ქ. ყვარალი, კუდიბორის №2  
საკონტაქტო ტელეფონი:  
22-01-86